

ახალი თაობა



გაზეთი „ახალი თაობა“
ნაყოფილებით
25 მარტიდან
იესო ქრისტეს შობა
ნიგნი შალგანილია
არქიმანდრიტ
ნესტორ ყუბანეიშვილის
შინაღვით
ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი



პარასკევი, 25 მარტი, 2016

№71 (6997)

ფასი: 50 თეთრი

რატომ უარყო „ქართულმა ოცნებამ“ ღარიბაშვილი?



გვ.2

მეჭიაური: „იმათ, ვისზეც ფარული
ჩანაწერები არსებობს,
თანამდებობები უნდა დატოვონ“



პროფესიული განათლების
რეფორმა — შემსიკრებელი
უზუზავრობა და
კვალიფიციური კადრები
კერძო სექტორში



გიორგი
კვიციანი:
„მთავრობა
ახალგაზრდა
ინიციატივიან
ადამიანებს
მისცემს
საშუალებას,
საკუთარი იდეები
დააფინანსონ“

ნანა კაკაბაძე: „ღათა ახალიანს ნითელი სირკულარიდან მოსსნა კორუფციული გარიგების შედეგია“



გვ.3

დღეს საზოგადოება
სამართლიანობის
აღდგენას ითხოვს.
სწორედ იმიტომ
დავარდა ხელისუფლების
რეიტინგი, რომ მან ვერ
გაასამართლა რეჟიმი



იან კელი: „აშშ ქართულ
შეიარაღებულ
კალაბთან
ვალშია“



გვ.3

თამარ ჩხეიძე: „ქარაილის განსხვავებას ცუდი იყო და ზურაბ აბაშიძისას“



გვ.4

„დათმობებს
რუსეთი დათმობებითვე
არ პასუხობს“



გვ.2

„მისო გრძელინიდა“
— უკრაინული პრესა
სააკაშვილის
რაცხეულგაზე
ხალისობს

კონსტანტინე
გამსახურდია:
„ხელისუფლებამ
ოპოზიციის კარში
ყველა გოლი არ
უნდა გაიტანოს“



გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006



რაბოზ უარყო „ქართულმა ოცნებამ“ ღარიბაშვილი?

მეჭიაური: „იმათ, ვისზეც ფარული ჩანანერები არსებობს, თანამდებობები უნდა დატოვონ“

შორენა მარსაგიშვილი

23 მარტს პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ გვამცნო, ირაკლი ღარიბაშვილთან მოლაპარაკებებს ვანარმოებთო. ამ ინფორმაციამ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გაახარა. ბევრი შავი პიარისა და თანამდებობიდან წასვლის მიუხედავად, მას ყველა მოქმედ მეოცნებეზე მაღალი რეიტინგი აქვს.

მეოცნებეთა სიხარული 24 საათსაც არ გაგრძელდა. იგივე ირაკლი კობახიძე გამოვიდა და განაცხადა, ჩემს რეიტინგულ სენსიანსთან არანაირ მოლაპარაკებებს არ ვანარმოებთო.

მას მხარი მინისტრებმაც აუბეს და ისე შეიცხადეს ღარიბაშვილის შესახებ დაბრუნება, თითქოს ცოტა ხნის წინ ის ბიჭი მათი გუნდის ლიდერი არ იყო.

აღმასრულებელი მდივნის უარყოფამ ბევრი ჭორი გამოიწვია. არავისთვის დაბრუნებული არაა, რომ „ქართულ ოცნებაში“ ექსპრემიერი რამდენიმე პერსონას თვალში არ მოსდის. მათ შორის არის ირაკლი კობახიძეც, რომელსაც თავისი უცნაური განცხადებებით საზოგადოება არაერთხელ გაუოგანებია, გუნდი კი არეულობამდე მიუყვანია.

წლის დასაწყისში მან განაცხადა, რომ „ოცნების“ სიაში მოჭიდავეები და ტაშ-ფანდურის მოყვარული ხალხი აღარ მოხვდებოდა. ამას გუნდში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. საქმეში ივანიშვილი რომ არ ჩარეულიყო, ერთი დიდი სკანდალის მომსწრენი გავხდებოდით.

მაშინ ითქვა, რომ ეს განცხადე-

ბა კობახიძეს მავანმა ნიადგის მოსასინჯად გააკეთებინა. იგივე მოხდა ირაკლი ღარიბაშვილის შემთხვევაშიც.

23 მარტს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარტია „ქართული ოცნება“ დემოკრატიული საქართველო ექსპრემიერი ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციების გამართვას გეგმავდა. ამის შესახებ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

ჩვენ აუცილებლად გვექნება კონსულტაციები და ამ კონსულტაციების შედეგად გაირკვევა, როგორი იქნება ყოფილი პრემიერისა და თავმჯდომარის ჩართულობა ჩვენს სამომავლო საქმიანობაში, – განაცხადა კობახიძემ.

ერთი დღის თავზე იმავე პერსონამ თქვა, რომ ღარიბაშვილის საარჩევნო სიაში მოხვედრა დღის წესრიგში არ დგას.

არავის უთქვამს, რომ მოლაპარაკებები ირაკლი ღარიბაშვილთან მიმდინარეობს. დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას. ზოგადად საუბარი იყო იმაზე, რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები მიიღება კონსულტაციების საფუძველზე. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ღარიბაშვილის მომავალზე საუბარი დიდად არ ეხალისებოდათ მთავრობის წევრებს.

დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ეს მის პოლიტიკურ პარტიასთან უნდა გაარკვიოთ, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ნოდარ ხადურმა საერთოდ მო-

ისანყლა თავი და განაცხადა, რომ საარჩევნო სიების შედგენასთან მას კავშირი არა აქვს.

გაცილებით სიტყვაუხვი იყო ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუშიშვილი.

ის ამბობს, რომ ყოფილ პრემიერთან, ისევე, როგორც მთავრობის დანარჩენ წევრებს, კარგი ურთიერთობა აქვს.

ქუშიშვილის თქმით, ღარიბაშვილის ყველა ნაბიჯი პატივისცემას იმსახურებს, თუმცა მისი გეგმების შესახებ ინფორმაციას არც ის ფლობს.

ყველაზე იოლი გამოსავალი კულტურის მინისტრმა იპოვა. მიხეილ გიორგაძის თქმით, ის არ არის პარტიის წევრი და შიდაპარტიული მოძრაობა მისთვის უცნობია.

ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ არ აქვს ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ნოდარ ჯავახიშვილსაც.

საკუთარი განცხადებების უარყოფელი კობახიძე ადასტურებს, რომ საარჩევნო სიის შედგენაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ამასთან, მისთვის უცნობია, რა ფორმით ჩაერთვება ამ საქმეში ბიძინა ივანიშვილი.

ბატონმა ბიძინამ თავად განაცხადა, რომ ის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო სამზადისში აქტიურად ჩაერთვება, თუმცა, რა ფორმით მოხდება ეს, ამაზე ჯერჯერობით არ ყოფილა საუბარი. ეს, პირველ რიგში, თავად ბატონ ბიძინაზე დამოკიდებულია. ამ თემაზე, ბუნებრივია, გუნდში მსჯელობაც იქნება, – განაცხადა აღმასრულებელმა მდივანმა.

ის არ გამოიციხავს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში შე-

საძლოა 20/30-ის ექსპერტებიც იყვნენ, სიაში შესაყვანი ხალხის ვინაობის გამხელას კი ამ ეტაპზე არ აპირებს.

საარჩევნო სიას რაც შეეხება, ჩვენთვის არაა მიზანშეწონილი სახელობისა და გვარების დაკონკრეტება და ამისგან შეგნებულად ვიკავებთ თავს. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გუნდის გაძლიერება გახლავთ იმ სფეროებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მართებს პარლამენტს და სადაც განსაკუთრებით საჭიროა საპარლამენტო მუშაობის გაძლიერება. ესაა სწორედ კანონ-შემოქმედებითი სფერო, ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ურთიერთობების სფერო. ესაა ჩვენი სამი პრიორიტეტული მიმართულება და აქცენტს ამაზე გავაკეთებთ.

რაც შეეხება 20/30-ს, იქ კვალიფიციური ადამიანები არიან წარმოდგენილი და ჩვენ, ბუნებრივია, არ გამოვიციხავთ, რომ ჩვენს სიაში ამ საზოგადოების წევრებიც აღმოჩნდნენ, – აღნიშნა კობახიძემ.

ვიცვრემიერი კახა კალაძის ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით კონსულტაციები ჯერ კიდევ გრძელდება. სიაში აუცილებლად იქნებიან ახალი სახეები და ახალგაზრდები.

ზოგი ცნობილი სახე იქნება, ზოგი შეიძლება – ნაკლებად ცნობილი, მაგრამ წარმატებული ახალგაზრდა, – აღნიშნა კალაძემ.

ვიცვრემიერმა არ გამოიციხა, რომ შესაძლოა სიაში წარმატებული სპორტსმენებიც მოხვდნენ.

ასევე ქალებს ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ, მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მეტი ქალი იქნება აქტიურად ჩართული პოლიტიკაში, მისა-



სალმებელია. მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ როგორც საარჩევნო სიაში, ასევე მათორიტარობის კანდიდატებად ქალებიც იყვნენ წარმოდგენილი, – აღნიშნა კალაძემ.


„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის ფორმირების პროცესზე, შენაძლოა, დიდი გავლენა იქონიოს ფართულმა ჩანანერებმაც.

გუნდში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ხალხი, რომლებზეც კომპრომატები არსებობს, პოლიტიკიდან უნდა წავიდეს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური ამის შესახებ ხმამაღლა აკეთებს განცხადებას. როგორ ამბობენ, ის ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებას ასმობანებს.

მეჭიაურის თქმით, თანამდებობების პირებმა, რომლებზეც მაკომპრომეტებული ჩანანერი არსებობს, თანამდებობები უნდა დატოვონ.

უმალღესი თანამდებობის პირებმა, იმათ, რომლებიც იკავებდნენ ან იკავებენ და მეორე იმათ, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, მომავალში დაიკავონ, ამათზე თუ არსებობს ასეთი მაკომპრომეტებული მასალა, მიუხედავად იმისა, როგორი წარმომავლობით გახდა ეს ცნობილი, კანონიერი თუ უკანონო გზით, ასეთი მასალა თუ არსებობს, ალბათ, თანამდებობები უნდა დატოვონ, – აღნიშნა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.



„მიხო გრიგორიანი“ — უკრაინული პრესა სააკაშვილის ჩასვლულობაზე ხალისობს



უკრაინული გამოცემა „КП в Украине“ ედუარდ ბაკანსკის სტატიას აქვეყნებს, სადაც ავტორი მიხეილ სააკაშვილის ჩაცმულობაზე აკეთებს აქცენტს, საქართველოს ექსპრეზიდენტს „მიხო გრიგორიანი“ უწოდებს და აცხადებს, რომ თავისი სკანდალური ჩაცმულობითა და ქვეით გუბერნატორმა ირგვლივ მყოფნი გააბიარულა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის შემოკლებულ ვერსიას:

არიან ადამიანები, რომლებიც სცილით იხსენებენ იმ მომენტს, როცა მიხო თავისი ჰალსტუხს ღეჭავდა. საყვარელი, გულის ამაჩუყებელი და ჟინიანი პოლიტიკოსი, რომლის გამოსვლას ხალხი განაბული ელოდება – აბა, ახლა რა მორიგ უცნაურობას შემოგვთავაზებსო. კორუფციასთან მებრძოლი გუბერნატორი მალე, ალბათ, ჩაცმულობის ერთ-ერთი ჭეშმარიტ კანონმდებლად მოგ-

ვეყენება (ო, მოდა, მოდა!), თანაც იმიტომ კი არა, რომ იგი მართლაც მოდის ამყოლია, არამედ იმიტომ, რომ სულ ფეხებზე ჰკიდია, რა და როგორ აცვია.

მიხო გულწრფელი და გულგახსნილი კაცია. გავიხსენოთ ის დღე, როცა გუბერნატორი ძალიან ვინრო შარვლითა და პიჯაკით გამოვიდა პუბლიკის წინაშე. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შემთხვევითობაა? არაფერი გეტყვინოთ! მიხეილ სააკაშვილმა მასებს მაკვიფო სიგნალი გაუგზავნა – შეხედეთ, მე უბეში ქვები არ მაქვს დამალულიო. ისე ვინრო ჰქონდა შარვალი, ჯიბეში საფულეც კი აღარ ჩაეტყოდა. აი, პოლიტიკოსის ეს ბოლო ფოტოც, რომელიც დნეპროპეტროვსკში გამართულ ანტიკორუფციულ ფორუმზეა გადაღებული, საკმაოდ დამაფიქრებელია: შარვლის ერთი ტოტი წინდაშია ჩატანებული. რას უნდა ნიშნავდეს ნეტა?

ჩვენ მივმართეთ ნატალია ადამენ-

კოს, ეტიკეტისა და დიპლომატიური პროტოკოლის ცნობილ ექსპერტს და ვთხოვეთ, მიხოს ახალი სახე აეხსნა. მან საკუთარ თვალებს არ დაუფერა: „შოკში ვარ ჩაყარდნილი... ეს ფეიკი ხომ არ არის? ამის კომენტირება, უბრალოდ, შეუძლებელია. No comments“.

მაინც რა სიგნალი გაუგზავნა მიხეილ სააკაშვილმა მის ირგვლივ მყოფებს? რის თქმა უნდა ოდესის ოქტის გუბერნატორს? შეიძლება იგი ელოდებოდა, რომ თუ მას სისხლმონყურებული კორუფციონერი ოლიგარქები დაეჭვებოდნენ, ერთ ფეხს პირში მიაჩენებდა, მეორე კი გადარჩენილი ექნებოდა... ან იქნებ ეს ყველაფერი ველოსიპედზე გადაჯდომას მოასწავებს? მოკლედ, გამოცანებია. ვალიარებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩაცმულობის სტილში ყველაზე კარგად ერკვევა.

ნიუსპრესი

ახალი თარიღი

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიწესტევე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი, სავინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდება – ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი



ნანა კაკაბაძე: „ღათა ახალაიას ნითელი სირკულარიდან მოხსნა კორუფციული გარიგების შედეგად“

ნონა კაკაბაძე

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ღათა ახალაიას ნითელი სირკულარიდან მოხსნის ფაქტს უხიანება და „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ჩვენ მოვისმინეთ ღათა ახალაიას ადვოკატის კომენტარი, სადაც ის აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ ვერ წარადგინა სათანადო მასალები ღათა ახალაიას წინააღმდეგ და ის პოლიტიკურ დევნილად მიიჩნია. ამაზე რას იტყვით?

– როგორ, მასტერაზე თუ იყო მიწოდებული, ამაზე როგორ არ იყო?! ღათა ახალაიას მართო გირგვლიანის საქმესთან კონტაქტი საკმარისი! ის საყოველთაოდ ცნობილ დანაშაულშია მხილებული, ევროსასამართლოსაც კი აქვს ამაზე გამოტანილი გადაწყვეტილება და იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შსს, პროკურატურა, სასამართლო, პენიტენციური სისტემა და პრეზიდენტიც კი იყვნენ მონაწილე ამ დანაშაულში.

როდესაც ასეთი გადაწყვეტილება აქვს ევროსასამართლოს, ვერ-

ცერთი ქვეყნის სასამართლო ვერ იტყვის, რომ პროკურატურის ხარვეზის გამო არ გამოგვეცხადეს დღეს ეს ადამიანი.

– ნითელი სირკულარიდან, ღათა ახალაიას გარდა, ამოიღეს ზურაბ ადგიშვილი და ერეკლე კოდუა. ამის თაობაზე რას იტყვით?

– ამ ყველაფრის შემდეგ როგორ უნდა დაარწმუნო საზოგადოება, რომ ჩვენი სწრაფვა დასავლეთისკენ არის სწრაფვა სამართლიანობისკენ, ჯანსაღი საზოგადოებისკენ, როცა ფაქტები საპირისპიროდ საუბრობენ. მათი დამოკიდებულება ჩვენდამი ცინიკური და დამამცირებელია. დღეს საზოგადოება სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. სწორედ იმიტომ დავარდა ხელისუფლების რეიტინგი, რომ მან ვერ გაასამართლა რეჟიმი. ეს იცის დასავლეთმა და ცეცხლზე ნავთს ასხამს.

– ასეთი ძლიერი ლობისტები ჰყავთ ნაციონალებს?

– კი, ლობისტებიც ასრულებენ სერიოზულ როლს და აქ სერიოზული კორუფციაა.

– კორუფციაში რას გულისხმობთ?



– კორუფციაში ვგულისხმობ ფულსაც და სხვა ინტერესებსაც, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს განაპირობებს.

– პროკურატურის მხრიდან გვესმის შეფასებები, რომ სამართალი მაინც აღსრულდება და ღათა ახალაიას გისოსებს მიღმა აღმოჩნდება. არის ეს შესაძლებელი?

– ეს ყველაფერი მხოლოდ დაპირებას ჰგავს. ჯერჯერობით ამის შესრულების გზები არ ჩანს. მე ვეფიქრობ, ხელისუფლებამ ეს დრო გაუშვა, როდესაც მათი პასუხისმგებლობის საკითხი თავის დროზე არ დააყენეს და



მათ კიდევ მეტი ბერკეტები და საშუალებები მისცეს, რომ „გაეპრავენიან“ თავიანთი უკანონობა და უსამართლობა და ვხედავთ, რომ დღეს უკვე პოლიტიკურ თავშესაფრებს იღებენ ეს ადამიანები სხვადასხვა ქვეყანაში. პროკურატურის განცხადება ნამდვილად არაა დამაჯერებელია.

– მოხდა დეგუბაციის იმედი მასტერას ექსტრადირება საქართველოში. რამდენად აქვთ შანსი სამართალდამცავებს, რომ მისგან აღიარებითი ჩვენებები და საჭირო ინფორმაციები მიიღონ?

– მასტერა ამ საქმეში კარგად განაფული, იმ ხელისუფლების გუნდის წევრი და მთელი ამ სიბინძურეების შემსრულებელია. ისიც კარგად ხედავს, როგორი გარემოა, როგორი სჯებიან დანაშაულები ჩვენს ქვეყანაში. ადამიანი მიდის აღიარებაზე, მიდის სათანამშრომლოდ გამოძიებასთან, როდესაც იცის, რომ მას სხვა გზა არ აქვს. როდესაც მასტერა ხედავს, რომ ვანო მერაბიშვილზე, გიგი უგულავასა და ღათა ახალაიასზე ამბობენ, რომ პოლიტიკაში არიან, რატომ ითანამშრომლებს სრულფასოვნად გამოძიებასთან?

– მასაც ექნება იმედი, რომ პოლიტიკაში მერაბიშვილზე?

– როდესაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ქართულ სახელმწიფოს მასზე ძებნა აქვს გამოცხადებული, ევროსტრუქტურებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე, საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს წინ დაუსვებს, ამას დასავლეთი უკეთეს საქართველოს, მასსრად იგდებს და თავს ლაფს ასხამს. ამ განწყობებს რომ დინახავს, რატომ ითანამშრომლებს გამოძიებასთან?

პროფესიული განათლების რეფორმა – შეხიჩაბული

უზუზავრობა და კვალიფიციური კადრები ქერქო სექტორში

გიორგი კვირიკაშვილი: „მთავრობა ახალგაზრდა ინიციატივიან ადამიანებს მისცემს საშუალებას, საკუთარი იდეები დააფინანსონ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პროფესიული განათლების რეფორმა წარადგინა.

– ეს არის რეფორმა, რომელიც არა მხოლოდ განათლების სისტემის გაუმჯობესებას, არამედ ქვეყნის განვითარებას მისცემს ძალიან მნიშვნელოვან ბიძგს, – ასე აფასებს მთავრობის მეთაური მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას, კერძოდ, განათლების რეფორმის პირველ ეტაპს – პროფესიული განათლების რეფორმას.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რეფორმის პირველი ეტაპი გულისხმობს შრომით ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის შექმნას.

გიორგი კვირიკაშვილი:
– დღემდე ჩვენ ფოკუსირებული ვიყავით საბაზისო საჭიროებებზე ანუ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საბაზისო განათლების უზრუნველყოფაზე და დღეს ჩვენ გვჭირდება საშუალება, უფრო შორს მივაწვადო მოზენებზე ორიენტირებული ახალი რეფორმა ნაბიჯით და სწორედ დღეს ვინწყებთ ამ ძალიან მნიშვნელოვან ეტაპს.

მთავრობის მეთაური აცხადებს, რომ დღეს საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი შესაბამისი კვალიფიციური მქონე საშუალო ძალის არარსებობაა.

– ახალი ეტაპი გულისხმობს სრულიად განსხვავებული სწავლების მოდელს, რომელიც იქნება დამყარებული საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის პირობებში ერთ-



თდროულად სწავლებასა და მუშაობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწავლის პროცესშივე სტუდენტს მომავალ დამსაქმებელთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდეს. უკვე სწავლის შემდგომ სტუდენტს გადაწყვეტს გააგრძელოს საშუალო პრაქტიკა და დასაქმდეს, ნამოიწყოს საკუთარი ბიზნესი თუ გააგრძელოს უმაღლესი განათლება. მას ექნება ამის საშუალება და არა მხოლოდ საშუალება – სახელმწიფო შეუქმნის თითოეული მიმართულებით შესაბამის პირობებს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისი განცხადებით, ასეთი ტიპის სასწავლო მოდელის არსებობა და განათლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ინფრასტრუქტურის არსებობა და ერთდროულად მოქნილი ბიუროკრატია ქვეყანას მისცემს საშუალებას, მნიშვნელოვან ნახტომს გააკეთოს განვითარებაში.

გიორგი კვირიკაშვილი:
– პარტნიორობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს რაიმე ტიპის თავსმოხვეულ ინიციატივას სახელმწიფოს მხრიდან, ეს არის პროცესი როდესაც ერთი მხრივ კერძო სექტორი წინასწარ იღებს გარანტიას, რომ მას ეყოლება კვალიფიციური კადრი, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფო ამ პროცესს შედეგად ამცირებს უმუშევრობას და ძალიან მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტების საქმიანი ინიციატივების რეალიზებისთვის მთავრობამ შექმნას შესაბამისი მექანიზმები.

– სწორედ ამიტომ არის განსაზღვრული სტარტაპის იდეების დაფინანსების ინსტიტუტის შექმნა, რომელიც სტუდენტებს, ახალგაზრდა ინიციატივიან ადამიანებს მისცემს საშუალებას, რომ დააფინანსოს საკუთარი იდეები ახალ პირობებში, რომლისთვისაც არ იქნება საჭირო ჩვეულებრივი საბანკო პროცედურების გაგება, – აღნიშნავს გიორგი კვირიკაშვილმა.

ახალგაზრდების ბიზნესინიციატივებზე ორიენტირებული სტარტაპის დაფინანსების ინსტიტუტი ფუნქციონირებს, საჯაროდ, ერთ-

თვეში დაინყვებს. მთავრობის მეთაურის განცხადებით, ეს იქნება საპარტნიორო ფონდთან ერთად არსებული სპეციალური ფონდი და იქნება კონკრეტულად ახალგაზრდების ბიზნესინიციატივებზე ორიენტირებული.

გიორგი კვირიკაშვილი:
– ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, ჩვეულებრივი საბანკო პროცედურებისგან განსხვავებით, ყველანაირი უზრუნველყოფის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესინიციატივის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების საფუძველზე მიიღონ დაფინანსება და განახორციელონ საკუთარი ბიზნესინიციატივები. ეს ინიციატივა მზადაა, ეკონომიკის სამინისტრო საპარტნიორო ფონდთან ერთად და მთავრობის სხვა წევრების ჩართულობით აზრადებს ამ ინიციატივას ჩასაშვებად, საჯაროდ, მაქსიმუმ ერთ თვეში ეს ინსტიტუტი ფუნქციონირებს დაინყვებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების აზროვნება იმგვარად ჩამოგორდეს, რომ მათ არასდროს გამოიჩინონ საკუთარი ბიზნეს-მონაცემების შესაძლებლობა და არ იყვნენ მხოლოდ დაქირავებულ საშუალო ორიენტირებული.

– დაქირავებულ შრომაში არაფერია დასაძრახი, მაგრამ რაც უფრო მეტი ახალგაზრდა გვეყოლება, რომელიც შემდგომში სხვების დამსაქმებელი გახდება, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ეკონომიკა და მით უფრო შეუქცევადი იქნება ეს პროცესი, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

იან კელი: „აშუ ქართულ შეიარაღებულ ძალებთან ვალშია“



ამ კონკრეტული შემთხვევისგან. ამერიკის შეერთებული შტატები ერთგვარ ვალშიც კია ქართულ შეიარაღებულ ძალებთან, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში უწყვეტად მონაწილეობდნენ.

თქვენ ერთდროულად ხართ როგორც მებრძოლები, ასევე მშვიდობის ელჩები, – მიმართა იან კელიმ ქართულ ჯარისკაცებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ იან კელის განცხადებით, რომელიც მან ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში გაცილების ცერემონიაზე გააკეთა, შეერთებული შტატები ვალშია ქართულ შეიარაღებულ ძალებთან, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში უწყვეტად მონაწილეობდნენ.

– ჩემთვის დიდი პრივილეგიაა და პატივია, ამ განსაკუთრებულ დღეს აქ ვიყო. თითოეული თქვენგანი უნდა ამაყობდეს იმით, რასაც ქართველი ჯარისკაცები და ქართული შეიარაღებული ძალები აკეთებენ მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის.

ორიოდე დღის წინ ბრიუსელში განვითარებულმა მოვლენებმა, „ISIS“ – ის მიერ განხორციელებულმა ტერორისტულმა შეტევებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ არცერთი ქვეყანა არაა დაზღვეული და არცერთი ქვეყანა არ შეიძლება იყოს უსაფრთხოდ

„სააქაშვილის გეგმა უკრაინის პრეზიდენტის საპარტნიორო დაქვემდებარებაში ჩაიშალა“

აზერბაიჯანული გამოცემა „Kaspi“ უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურება და საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე არცთუ პოზიტიურ კონტექსტში წერს. აზერბაიჯანული გამოცემის თანახმად, სააკაშვილის გეგმა იაცენიუვის საგარეო დაკავებისთან დაკავშირებით ჩაიშალა.

– რასაკვირველია, ეს არ წინასწარ იმას, რომ არსენა ბრძოლა მოიგო და თავისი მდგომარეობა გაიმყარა. არც მიხეილ სააკაშვილია მომგებიან სიტუაციაში: ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის გუნდს თურმე სხვა გეგმები ჰქონია – პრემიერად ან ფინანსთა მინისტრი ნატალია იარესკო იქნება (აშუ-შია დაბადებული-გაზრდულ-ნასწავლი), ან ვერსოვნა რადას სპიკერი მიხეილ გროისმანი, რომელიც ოლიგარქების ინტერესს წარმოადგენს. ასე რომ, მიხეილ სააკაშვილის გეგმები პრემიერ-მინისტრის სავარძლის დაუფლებაზე ჩაიშალა, – წერს გამოცემა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსასხროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისკოპათია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეშიზმის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამამკობელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგები.

☎ 555-02-32-08. ქალაქი თბილისი

ნიუსბრესი

ნიუსბრესი



კონსტანტინე გამსახურდია: „ხელისუფლება ოპოზიციის კარში ყველა გოლი არ უნდა გაიტანოს“

ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია, ახალი თაობასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებას საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ხუთუნქტიანი ვარიანტი წარუდგინა, თუმცა, იქვე ამატებს, რომ ინტერპარტიულ ჯგუფს სათადარიგო ვარიანტიც აქვს.

– ბატონო კონსტანტინე, რა შეგიძლიათ გვითხრათ იმ სამუშაო შედეგების შესახებ, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმებზე მიმდინარეობს, რამე ხელშეახლები მიიღო ოპოზიციამ?

– ჯერჯერობით შედეგების ეტაპია ხელისუფლების საკონტაქტო ჯგუფთან. ეს არის სამუშაო შედეგები. ჩვენ ინტერპარტიულ ფორმატში წარვადგინეთ წინადადებები და ახლა მათზე ხელისუფლებისგან შემდგომ წინადადებებს ველოდებით. ამ საკონტაქტო ჯგუფში ჩართულია სახელისუფლებო გუნდის ყველა ფრაქციის თითო-თითო წარმომადგენელი.

– ამ პირველი შედეგიდან რა შთაბეჭდილება დაგვრჩა, ხელისუფლება არის მზად კომპრომისული ნაბიჯებისთვის?

– დიას, გარკვეული მზობა არის, რომ ეს ნაბიჯები რეალურად იქნეს გადადგმული, არა ვინმეს, არამედ ჩვენი ქვეყნის, მისი დემოკრატიული განვითარების სასარგებლოდ.

– რა დათმობაზეა საუბარი?
– კონკრეტულად ამ ნუთში ამის თქმა არ შეიძლება, რადგან მოლაპარაკების პროცესია, ამიტომ, რა ზომამდე წავა ეს ყველაფერი, ახლა ვერ გეტყვით, თუმცა უახლოეს მომავალში ჩვენ შეგვეძლება, მთლიანად შევაფასოთ ეს პროცესი, რადგან დაუსრულებლად ვერ გავრძელებთ სამუშაო ფორმატი და მოლაპარაკებები.

– რამდენადაც მე ვიცი, გარკვეულ კომპრომისებზე მზაობას ინტერპარტიული ჯგუფიც აცხადებს. შეგიძლიათ გვითხრათ, რა კომპრომისზეა საუბარი?

– ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა წინადადებებს წამოაყენებს ხელისუფლება და სადამდე წავა ის დათმობის მიმართულებით. ცხადია, თუ არ მოხდა ორმხრივი კომპრომისი, მაშინ მოლაპარაკება შედეგით არ დასრულდება.

– თუ არცერთი მხარე არ წავა კომპრომისზე, შეიძლება, მოლაპარაკებები ჩაშლილად გამოცხადდეს?
– რა თქმა უნდა, თუმცა მე ეს



განწყობა ნამდვილად არ მაქვს.
– შეიძლება, რომ ეს იყოს მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის, მაგალითად, უცხოური ორგანიზაციების დასახარად და ა.შ?
– არავითარ შემთხვევაში. პრემიერთან გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძეც ესწრებოდა, მან განაცხადა, არავინ იფიქროს, რომ აპელირება ხდება უცხოურ ორგანიზაციებზე, მან ასევე პარალელი გაავლო ძველ პერიოდზე, როდესაც ადამიანები აქვერ რიგდებოდნენ და კრემლს მიმართავდნენ, როგორც შუამავალს. ამდენად, ამაზე არ არის საუბარი. საუბარია იმაზე, რომ პარლამენტში გამარჯვებულ ძალას ლეგიტიმაციის პრობლემა არ შეექმნას და ოპოზიციამ არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ არ დააყენოს.
– ოპოზიციის ხშირად აპელირებს სწორედ არჩევნების ლეგიტიმაციით. რა შემთხვევაში შეიძლება კითხვის ნიშნები გაჩნდეს, რა არის ნითელი ხაზი, როდესაც ოპოზიციის არჩევნების ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დააყენებს?
– როდესაც ოპოზიციის კარში ხელისუფლება ყველა გოლს გაიტანს, ისე, რომ თავდაცვის საშუალებასაც კი არ მისცემს. ეს არის შემთხვევა, როდესაც ხელისუფლება აიღებს ყველაფერს, როდესაც გამარჯვებული დააკმაყოფილებს თავის ყველა ინტერესს. ეს ვარიანტი კომპრომისამდე ვერ მივა და ეს იქნება კონფრონტაცია.
– ოპოზიციის კარში გოლი შეიძლება იყოს მაჟორიტარულ სისტემაზე თანხმობა?
– ჯერჯერობით არ ვიცი, ვართ თუ არა თანახმა, რადგან ამაზე არ ყოფილა საუბარი.

– საუბარია გერმანულ მოდელზე, სადაც არის მაჟორიტარული არჩევნები.

– გერმანული მოდელი ალტერნატიული, სათადარიგო მოდელია. გერმანული მოდელი დაახლოებით არის პროპორციული სისტემით არჩევნები. რაც შეეხება 2020-21 წლის არჩევნებს, ის უკვე ჩატარდება საერთო ეროვნულ-პროპორციული და რეგიონულ-პროპორციული სისტემით. მაშინ ერთხელ და საბოლოოდ დასრულდება იმაზე საუბარი, რომ ერთპალატიან პარლამენტში არიან წარმოდგენილი პარტიული სისტემით გასული და მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებულებიც.

– არის რაღაც საკითხები, რაც დახურულია?
– არა, არცერთი საკითხი დახურული არ არის.

– საკონსტიტუციო ცვლილებები ხომ ვერ მოესწრება?
– დიას, მაგრამ რაღაც-რაღაცეები საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე შესაძლებელია, რომ მოხდეს. ჩვენი მოთხოვნები ეყარება იმას, რომ ქვეყანაში ნორმალური საარჩევნო გარემო შეიქმნას, სადაც ყველა პარტია მიიღებს იმ რაოდენობის ადგილს პარლამენტში, რა რაოდენობის მხასაც მიიღებს არჩევნებზე.

თამარ ჩხეიძე: „კარასინის განცხადებას ცუდი იყო და ზურაბ აბაშიძისას“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ახალი კადრების გამოქვეყნება ეფექტს აღარ იქონიებს და რომ ამ მეთოდის გამოყენებამ კრახი განიცადა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ფარული ჩანაწერების გამოშვება ნებისმიერ შემთხვევაში ნეგატიურ გავლენას იქონიებს.

თამარ ჩხეიძე:
– არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გასაჯაროება ეფექტის მომტანი არ იქნება. სამწუხაროდ, ასეთი ჩანაწერების გავრცელება გარკვეულ ეფექტს იქონიებს. კადრები სხვადასხვა პიროვნებას ეხება და ეს ჩანაწერები დარტყმას მიაყენებს სხვადასხვა ადამიანს.

– ეს ყველაფერი არჩევნებს უკავშირდება? ვის ინტერესებშია ამის გამოყენება?

– კადრები ქვეყნდება არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. ძნელია, კონკრეტულად ვინმეს ხელი დადა და დაბეჯითებით თქვა, თუ ვინ გადავრცელა ასეთი ჩანაწერები. მათზე ხელი მიუხვდება ხელისუფლებას. მე მხოლოდ შემიძლია გამოვთქვა ვარაუდი.
ამ ხელისუფლებას ოპონენტებთან დამოკიდებულებაში თავისებური სტილი აქვს. ბიძინა ივანიშვილი ახალი მოსული იყო ხელისუფლებაში, როცა საჯაროდ მინიშნება გააკეთა ირაკლი ალასანიას ზოგიერთ მოქმედებაზე. თავისუფალი დემოკრატები მმართველი კოალიციიდან გამოვიდნენ და ოპოზიციად იქცნენ. ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ კადრების გამოქვეყ-

„დათმობებს რუსეთი დათმობებითვე არ პასუხობს“

ნებისას ერთ-ერთი მთავარი საშიშნე ალასანიას პარტიაა.

– ხელისუფლებას ამის შედეგად მხოლოდ ზიანი მიადაგა.

– მართალია, ამის შედეგად ხელისუფლება დაზარალდა. არ არის გამორიცხული, რომ ჩანაწერი სხვა იყო. ამის ორგანიზატორები არ მოელოდნენ ასეთ შედეგს და იმ რეაქციას, რომელიც საზოგადოებაში გაჩნდა. ალბათ, მიზანი იყო ოპონენტების დისკრედიტაცია. ასეთ განწყობებს არ ელოდნენ. არ იყო გათვლილი, რომ ამით ხელისუფლება დაზარალდებოდა.

– მმართველ კოალიციაში დიდი დაბნეულობაა პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით.

„ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელებით სხვა რამ იყო ჩაფიქრებული“

ბი. არის თუ არა მოსალოდნელი, რომ „ქართული ოცნების“ სუბიექტებმა ცალ-ცალკე იყარონ კენჭი საპარლამენტო არჩევნებში?

– „ქართული ოცნების“ გაერთიანების არცერთ სუბიექტს არ აწყობს დამოუკიდებლად მონაწილეობა არჩევნებში. მათ კარგად იციან, რომ საკუთარი ძალეობით საარჩევნო ზღურბლს ვერ გადალახავენ და პარლამენტში ვერ მოხვებიან. ამ პარტიებიდან არცერთს არ უნდა კოალიციიდან გასვლა.

– ეროვნული ფორუმის გახვლა თითქმის გადანაცვლებულია.



– ამის შესახებ მეც მსმენია, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ ვერცერთი სუბიექტი დამოუკიდებლად პარლამენტში ვერ მოხვდება. ერთი პარტიების სურვილი, მეორე – ხელმძღვანელების გადაწყვეტილება. შეიძლება რომელიმე პარტიას არ ჰქონდეს კოალიციის დატოვების მიზანი, მაგრამ ის აიძულონ, ასე მოიქცეს.
– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებებზე. ითვლება,

რომ რუსეთი მისი პირით დაგვემოქმედა.

– კარასინის განცხადება უაღრესად თავხედური იყო. ის იყო ტიპური რუსეთის იმპერიისათვის. კარასინის გამონათქვამებმა დაადასტურა ერთი ჭეშმარიტება – რაც უფრო კოლაბორაციონისტულად მოექცევი რუსეთს, მით მეტი ზენოლა და მუქარა იქნება მისგან. დათმობებს რუსეთი დათმობებითვე არ პასუხობს. რუსეთი ამ პრინციპით ხელმძღვანელობს მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც.

რუსეთის საგარეო უწყების მალაჩონოსის განცხადება ალმაშფოთებელია, მაგრამ კარასინის გამონათქვამებზე უარესი სხვადასხვა თქვეს. სასაცილოა, სავალალო რომ არ იყოს, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებები.

– რომელი განცხადებები?

– ზურაბ აბაშიძის კარასინის მუქარებზე კომენტარი სთხოვეს. ამაზე მან განაცხადა, თუ ჭკვიანად ვიქნებით, რუსეთისგან არაფერი იქნება. მოგვიანებით ამ სიტყვებს კიდევ უფრო უარესი დაამატა – ჩემს შვილიშვილებსაც ვურჩევ, ჭკვიანურად მოიქცნენო. წარმოგიდგინათ? კარასინი ჩვენი ბაბუა ყოფილა და ჩვენ თურმე მას უნდა დაუფუჯროთ. თუ არ დაუფუჯრებთ, გავილახებით. არადადეკატური იყო საზოგადოებისა და ხელისუფლების რეაქცია რუსეთის ერთ ბოლოდროინდელ ქმედებაზე.

– რუსეთმა ბოლო დროს საოკუპაციო ბოლი გადამოსწია.

– სწორედ ამას ვგულისხმობ. რუსეთი აგრძელებს მცოცავ ოკუპაციას, ჩვენ კი ამაზე არ ვრეაგირებთ. ამაზე გამომსაუბრება არასათანადო იყო, არადა, განგაშია ასატყხი. სამწუხაროდ, ეს თემა საერთოდ მიიჩქმალა. მთელი ყურადღება გადატანილი იყო ფარულ ვიდეოჩანაწერებსა და უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე. ესეც საყურადღებო საკითხებია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა.



„დემოკრატიული მოძრაობის“ კოორდინატორმა ახალციხის მერს სასამართლო მოუბო

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონულმა კოორდინატორმა, ახალციხის საკრებულოს დეპუტატმა ჯიმშერ გოგოლაურმა ახალციხის მერს სასამართლო პროცესი მოუგო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გია ბერაიამ „დემოკრატიული მოძრაობის“ სასამართლო პროცესი მოუგო.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კოორდინატორის, ახალციხის საკრებულოს წევრ ჯიმშერ გოგოლაურის სარჩელი ახალციხის მერ გიორგი კოპაძის წინააღმდეგ დააკმაყოფილა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, გიორგი კოპაძემ ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გადაცემა „დილოგში“ ჯიმშერ გოგოლაურზე გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადება უნდა უარყოს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ინფორმაციით, სწორედ ამ გადაცემაში უთხრა გიორგი კოპაძემ დეპუტატ ჯიმშერ გოგოლაურს, რომ „მაშინ, როცა იგი პოლიციის თანამშრომელი იყო, პატიმრებს ბოთლებზე სვამდა და პატიმრები ამის გამო ფაზჯრებიდან ხტებოდნენ“.

მოსამართლის თქმით, სასამართლოში წარმოდგენილ დისკუბ აშკარად ჩანს, რომ კოპაძე პირადად ჯიმშერ გოგოლაურს მიმართავს და მას ცილს სწამებს.
– ვითხოვდით, რომ ბოდიში მოეხადა „სამხრეთის კარიბჭეში“, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება თითქმის სრულად დაკმაყოფილდა, აღარ გავასაჩივრებთ, – ამბობს ჯიმშერ გოგოლაური.

შეგახსენებთ, რომ ახალციხის მერის განცხადების გამო გოგოლაურმა ჯერ პროკურატურას მიმართა. პროკურატურამ საქმეზე გამოკითხვებიც დაინიშნა, თუმცა, საქმის წარმოება აღარ გააგრძელა იმ მოტივით, რომ ეს სამოქალაქო დავაა.
ამის შემდეგ, 2016 წლის 1 თებერვალს, გოგოლაურმა სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში შეიტანა. გოგოლაური ახალციხის მერისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდასა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ანაზღაურებას ითხოვს.

გახსოვთ – გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი ინახავს მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები – ქოლესტეროლისგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებითი სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.
სივალეპი ზარის უახლესი, სწრაფი და უწყალო პარამეტრი 1-დან 25 წლამდე
კურსით 3-5 სმ-ის მოხატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მალაფეფტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გაყოფილი შედეგით სასურველ შედეგამდე. **დ-60 30003636**
მის. მებრე „დილა“, წარმოების ქ. 142, I სართული, კაპანიშვილი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83
ნიუსბრესი

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგინებთ

25 მარტიდან იესო ქრისტეს შობა

ნიგნი შაღანილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

გაზეთი ახალი თაობა წარმოგიდგინებთ

ნობელიანტები ლიტერატურაში

26 მარტიდან — ერნესტ ჰემინგუეი. იმ, მიჩიგანში
2 აპრილიდან — თომას მანი. აპანეიურის ფილიპს ქრუსის აღსაჩება
9 აპრილიდან — ჯონ გოლდსუორთი. ფორსაიტების ხსნა

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგინებთ

ნიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შაღანილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

25 მარტიდან	— იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან	— იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან	— იესო ქრისტეს პირველი მოწვევა
15 აპრილიდან	— იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან	— საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან	— იესო ქრისტეს აღდგომა

29 მარტიდან „ახალი თაობა“ ერთად

პაულო კოელიო

პაულო კოელიო ადრულტერი

ლინდამ იცის, რომ გაუმართლა. ერთი შეხედვით, იდეალური ცხოვრება აქვს. სხვების თვალში რესპექტაბელური მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ამბიციური ჟურნალისტი, თუმცა ყოველ დილას თვალის გახელისას მხოლოდ აუტანელ სიცარიელეს გრძნობს.

ყველაფერი იცვლება, როდესაც მის ცხოვრებაში მოულოდნელად ვნება ჩნდება. ლინდა დგება არჩევანის წინაშე, რომელმაც შეიძლება მთელი მისი ცხოვრება შეცვალოს.

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

იოჰან კრუიფი გარდაიცვალა

ნალტი, რომელიც კრუიფის ფენომენალურ გარღვევას მოჰყვა.

იოჰან კრუიფმა სახელი ამსტერდამის აიაქსში გაიტოვა, რომლის შემადგენლობაშიც სამჯერ ზედიზედ მოიგო ჩემპიონთა თასი.

ამის შემდეგ კრუიფი სათამაშოდ ბარსელონაში გადავიდა, კლუბში, რომელსაც მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა.

90-იანი წლების დასაწყისში ლეგენდარული ჰოლანდიელი ბარსელონის მწვრთნელი გახდა და მისი ხელმძღვანელობით კატალონიურმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატი ზედიზედ ოთხჯერ მოიგო. 1992 წელს კრუიფის ბარსელონა პირველად თავის ისტორიაში ჩემპიონთა ლიგის მფლობელი გახდა.

ბარსელონის აღორძინებას 2000-ან წლებში კრუიფის

ბენეამას საქმეში საფრანგეთის პრეზიდენტის ჩაბრუნება

ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ განვითარდება მოვლენები კარიმ ბენეამასთან დაკავშირებით ანუ ითამაშებს თუ არა ის ევრო 2016-ზე.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს დიდი დეშამს ბენეამას ნაკრებში გამოძახება არ სურს, მაგრამ მასზე შესაძლოა ზეწოლა განხორციელდეს, რადგან ბენეამა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდმა ვითარებაში გარკვევა მოინდომა. კარიმ ბენეამა ნაკრებიდან მატჩი ვალბუენას შანტაჟის გამო მოკვეთეს, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ვალბუენას არა ბენეამა, არამედ ბენეამას მეგობარი აშანტაჟებდა.

იუმოხი

ღამის ორ საათზე ბავშვი იღვიძებს და დედას ეუბნება:

— დედა, მომიყვი რა ზღაპარი!

— დაიძინე შვილო, დაიძინე, დღით მამაშენი მოვა და ის მოგიყვება ზღაპრებს.

აფრიკაში ჩასული ქართველი მთიელი სირაქლემავა ნადირობს. სასწრაფო მანძილზე რომ მიუახლოვდება, სირაქლემავა თავს ქვიშაში ჩამალავს:

— ისევ დაიძალა, მე ამის...

სიმეონს დიემო კოსტას დაბრუნება სურს

მადრიდის ატლეტიკოს მთავარ მწვრთნელ დიემო სიმეონს ჩელსის ფორვარდის დიემო კოსტას დაბრუნება უნდა თავის გუნდში.

შეგახსენებთ, რომ კოსტა წლების განმავლობაში ატლეტიკოში თამაშობდა და მადრიდული კლუბი 2014 წლის ზაფხულში დატოვა. ჩელსიში კოსტამ კარგი პირველი სეზონი ჩაატარა, მაგრამ წელს ჩელ-

სიმეონს დიემო კოსტას დაბრუნება სურს

სი უფსკრულისკენ მიექანება, ამიტომ არ არის გამორიცხული, დიემო თავის ძველ გუნდს დაუბრუნდეს.

სიმეონს თქმით, კოსტა ატლეტიკოს ძალიან გააძლიერებს, ამიტომ მისი ყიდვა ატლეტიკოსთვის ამ ზაფხულში ერთ-ერთი პრიორიტეტია.

თვითონ დიემო კოსტა ჯერჯერობით კომენტარის გარეშე თავს იკავებს.

ჯიხვოხი ა

შეუღალა: 1. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი; 2. სახობო ლექსი; 3. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველი მხატვარი; 4. ყველაზე დიდი მდინარე იტალიაში; 5. ისტორიული ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 6. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 7. რბილი სახატავი ფანქრები; 10. ტელეფონების გამომგონებელი შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელი ინჟინერი; 11. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიულდოში; 12. ტბა უნგრეთში; 13. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 16. არწივის ბარტყი; 18. კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 19. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი ხის ყუთი; 21. კრივის არენა; 24. ფრანგი მწერალი, „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ ავტორი.

თარაზულა: 1. ქალის სასიმღერო ხმა; 3. პიტნით, ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. მკაცრი აკრძალვა; 14. მცენარეთა სამყარო; 15. ქალაქი კახეთში; 17. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 20. ფრანგი კომიკოსი; 22. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. პატარა, სასეირნო გემი; 25. პოპულარული, არომატული, მატონიზირებული სასმელი; 26. ისტორიული სამთავრო მესხეთში; 27. ერთ-ერთი კონტინენტი; 28. სპორტიანი სასმელების კონტრაბანდისტი აშშ-ში.

1				2		3			4			5		6		7
9		10						11								
					12							13				
		14									15					
16					17										18	
				19				20			21			22		
				23				24					25			
26															27	
								28								

რჩევა ქალებს: — თუ დაბრუნდა იფეხები გაქვთ, ღრმა დეკოლტე ჩაიცვით.

გაზეთი უნიკალური ნივთია. ის გადასაფარებელიცაა, ბუზების სახოციც, ვენტორილატორიც, ტუალეტის ქაღალდიც, ქუდიც, ქოლგაც და მისი ნაკითხვაც კი შეიძლება.

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება: — ნამდვილი შემოღობილი მეზობლები მყავს... — ???

წუხელის ღამის ორ საათზე აბრაშუნებდნენ ზოგი ზვიდან, ზოგი ქვეყიდან, ზოგიც გვერდით კედლებიდან.

— რატომ? — რა ვიცი, კიდევ კარგი, არ მეძინა და საყვირზე ვუკრავდი.

მოაშადა კანა ხატიაშვილი